საქართველო

19213-01-2-201905141537

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/19213
14/05/2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს ქალბატონ თამილა ბარკალაიას

ქალბატონო თამილა,

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 3 მაისს, გერმანიაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელმა შეხვედრა გამართა კომპანია „Buschmann & Winkelmann"-ის მფლობელთან, ბიზნესმენ ერნს აუგუსტ ვინკელმანთან. აღნიშნული კომპანია მუშაობს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, მათ შორის, სატაცურისა და ლურჯი მოცვის მოყვანაზე.

გერმანელი ბიზნესმენის განცხადებით, სატაცურისა და ლურჯი მოცვის მოსავლის აღების პერიოდებში (აპრილი-ივნისი და ივნისი-სექტემბრი), კარგი იქნება საქართველოდან მუშახელის ჩაყვანის შესაძლებლობის განხილვა (დასაწყისისთვის 100-დან 200 ადამიანამდე). სატაცურის ნაკვეთებში სამუშაოდ სასურველია მამაკაცები, ხოლო მოცვის აღების დროს - ქალები. ფიზიკური შრომის პირობების გათვალისწინებით, კარგი იქნება, თუ აღნიშნული პირები საქართველოს რეგიონებიდან იქნებიან. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, ვინკელმანის განცხადებით, საშუალო დღიური ანაზღაურება იქნება დაახლოებით 80-120 ევრო. გერმანული კომპანია სრულად უზრუნველყოფს მუშახელს შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით. რაც შეეხება ენის ცოდნის საკითხს, შესაძლებელია, რომ თითოეულ ჯგუფში ერთი ადამიანი მომზადდეს გერმანულ ენაში და შემდეგ სწორედ მან შეასრულოს თარჯიმნის ფუნქცია ჯგუფის სხვა წევრებისათვის.

კომპანია „Buschmann & Winkelmann"-ის მფლობელმა მზადყოფნა გამოთქვა, ქართული მხარის დაინტერესების შემთხვევაში, უმასპინძლოს შესაბამის პირებს საქართველოდან, რათა ისინი ადგილზე გაეცნონ სატაცურისა და ლურჯი მოცვის მოყვანისა და მოსავლის აღების სამუშაო პირობებს.

გთხოვთ, გვაცნობოთ თქვენი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე - მ.შ.

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge